



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ე რ ი ა



წერილის ნომერი: 30-302307212
თარიღი: 13/03/2023

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს სა კ რ ე ბ უ ლ ო ს
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ს ბ ა ტ ო ნ ბ ე ს ი კ ტ ა ბ ი ძ ე ს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგინებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული ცვლილების საფუძველია „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს 209³ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ცვლილებები, რომელიც ამოქმედდება 2023 წლის 1-ლი აპრილიდან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგინებ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, შოთა ჩაგუნავას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2023 წლის მარტი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N24 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge, 29/06/2022 წელი, სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.112.016490) შევიდეს ცვლილება, კერძოდ: დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის „რ“ და „ს“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 55⁶, 64², 77¹, 77² მუხლებით, 82⁵ მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე მუხლის პირველი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125⁴, 130, 134, 135, 135¹, 146¹ მუხლებით, 148, 150¹, 151², 152, 152², 152³-152⁹, 153⁴, 156¹ მუხლებით, 158⁵ ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 159 და 159¹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების, კოდექსის 290⁶ მუხლის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განიხილვა და სამართალდამრღვევისთვის ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრისთვის (იდენტიფიკაციის შემთხვევაში) ადმინისტრაციულ სახდელის (ჯარიმის) ადგილზე შეფარდება;

ს) საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 43¹, 43², 46⁵, 46⁶, 51³, 53³, 55-ე, 55², 55³, 55⁶, 77¹, 77² მუხლებით, 82⁵ მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103 მუხლის პირველი ნაწილით, 114² მუხლის მე-6 ნაწილით, 119¹ მუხლით, 125-ე მუხლის მე-8 და მე-16 ნაწილის, 125⁴, 127¹ მუხლის მე-5 ნაწილით, 130 მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134¹, 135, 146¹, 148, 150, 150¹, 151, 151², 152, 152², 152⁵, 152⁶, 152⁷, 152⁸, 152⁹, 153⁴, 156¹ მუხლებით, 158⁵ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 159, 159¹, 172⁸ და 172⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების კოდექსის 290⁶ მუხლის გათვალისწინებით განიხილვა.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2023 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2023 წლის მარტი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი-ს 106¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტისა და 177-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ბესიკ ტაბიძე

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2023 წლის ---- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).